დაიკარგა მეტად საჭირო ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 18 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “მოლდოვა” (კიშინიოვი) 1:1 (1:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, მელაშვილი, იამანიძე, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

“მოლდოვა”: ვოსტროილოვი, ლევკინი, კაპუსტიანოვი, ლარინი, ციგანოვი, ბუტილკინი, ლაპინი, პროცენკო, ცინკლერი, აბრამოვი, კოროლკოვი.

მსაჯი ნ. ლატიშევი.

მატჩები “მოლდოვასთან” არ მიეკუთვნება “დიდი ფეხბურთის” კატეგორიას, ვინაიდან კიშინიოველ ფეხბურთელებს არა აქვთ საამისო არც კლასი და არც გამოცდილება, მაგრამ ერთია თამაშის ხარისხი, ხოლო მეორე – მატჩის შედეგი, მისი ღირებულება ქულებში.

თუ ამ მიმართებით განვიხილავთ კიშინიოვის “მოლდოვას”, “ა” კლასში თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე იგი თბილისის “დინამოსათვის” ნამდვილ გადაულახავ ზღუდედ იქცა. ყოველ წელიწადს, ყოველ ჩემპიონატში თბილისელებს დანაკლისი აქვთ ქულებში როგორც კიშინიოვის, ისე საკუთარ მინდორზე.

ასე მოხდა მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში, ასე მოხდა გუშინაც, და ისიც რა ვითარებაში, როცა თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ჩვენი გუნდის ისედაც მოკრძალებული ბიუჯეტისათვის იგი უდიდესი დანაკლისია. მისი კომპენსაცია დარჩენილ მატჩებში უნდა მოხდეს მაქსიმალური დაძაბულობითა და ბრძოლით. დარჩენილ მატჩებში ქულის დაკარგვა უკვე აღარ შეიძლება.

გუშინდელი მატჩი თბილისელებმა ჩაატარეს აშკარად სუსტად, ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა. ეს იყო ზუსტი ასლი იმ გუნდისა, რომელმაც კინაღამ საბედისწეროდ არ დაამთავრა ერევნის “სპარტაკთან” მეორე ტაიმი და 4 ჭკუის სასწავლებელი გოლი მიიღო თავის კარში.

დინამოელებმა ყოველგვარი ხალისისა და მონდომების, ყოველგვარი ტემპის გარეშე დაიწყეს თამაში და ასევე დაამთავრეს იგი. შეცდომებს ბოლო არ უჩანდა ყველა ხაზში. ორივე განაპირა მცველი სისტემატურად კარგავდა ბურთს და ხიფათში აგდებდა კარს. ნახევარმცველები 90 წუთის განმავლობაში წვრილმანი საქმეებით იყვნენ გართული, ფეხდაფეხ დასდევდნენ მოწინააღმდეგე შუამარბებს და ყოველგვარი კონტაქტის გარეშე იყვნენ დარჩენილი თავიანთ ფორვარდებთან.

თავდასხმაში შედარებით კარგად ითამაშეს გარემარბებმა, ხოლო ცენტრალური სამეული მოქმედებდა შეჯგუფებულად, არაზუსტი გადაცემებით, ქაოტურად. მაშინაც კი, როცა მატჩის დასასრულს ათიოდე წუთი აკლდა და დაკარგული ქულა თანდათან რეალურ სახეს ღებულობდა, ჩვენი ფორვარდები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხელსაყრელი მომენტების დაკარგვაში. მაგრამ ეს ფორმულა – “ხელსაყრელი მომენტის დაკარგვა” ამ შემთხვევაში არ გამოდგება იმის ასაწერად, თუ რა ხდებოდა “მოლდოვას” კართან. “დინამოს” თითოეული თავდამსხმელი რამდენიმეჯერ იყო მეკარესთან პირისპირ დარჩენილი და 5-6 მეტრის მანძილიდან ან ჯენტლმენურად ხელში აძლევდა ბურთს ვოსტროილოვს, ან ურტყამდნენ ისე, რომ კარის უკან მდგარი ბურთის მომწოდებელი ბიჭები დაიქანცნენ წინ და უკან სირბილით.

ყოვლად უინტერესო და უფერული პირველი ტაიმი დინამოელებმა მოიგეს მინიმალური ანგარიშით – 1:0 (გოლი გაიტანა კალოევმა მელაშვილის მოწოდებიდან). წინ იყო მთელი 45 წუთი, რომლის განმავლობაშიც უნდა მომხდარიყო შესაფერისი გარდაქმნა და შეცდომების გამოსწორება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და გუნდმა ვერ შეინარჩუნა ის უმცირესი უპირატესობა, რომელიც ხშირად ბეწვზე ეკიდა მცველთა უხეში ლაფსუსების გამო. ერთ-ერთ მომენტში ეს ბეწვი გაწყდა კიდეც მე-16 წუთზე, როცა ბურთი თავზე გადაახტა სიჭინავას და კოროლკოვმა კარში გაგზავნა იგი – 1:1.

დარჩენილი დრო უფრო სწორად, ბოლო 15 წუთი მაყურებელთა ნამდვილ წამებად იქცა. ბურთი “ჯიუტად” არ მიდიოდა კიშინიოველთა კარში და საბოლოოდ საქმე გათავდა თბილისელთათვის უკიდურესად საჭირო ქულის დაკარგვით – 1:1.

თბილისის “დინამოსა” და კიშინიოვის “მოლდოვას” დუბლშემადგენლობათა მატჩი შედგა 17 ივლისს. ანგარიშით 4:3 გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა.

რ. ქორიძე.

“ლელო” 19 ივლისი, 1960 წ.